



როგორ გავლენას ახდენს სკოლის გარემო ბავშვის
ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და როგორ შეიძლება
მისი გაუმჯობესება ინოვაციური მიდგომებით
ნია სტეფნაძე

ხელმძღვანელი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი
სოფიო ავლახაშვილი



თბილისი, 2025

განსახილველი საკითხები:

- შესავალი ნაწილი
- კვლევის მიზანი
- სასკოლო გარემოს არსი
- მენტალური ჯანმრთელობის ცნება
- სასკოლო გარემოსა და მენტალურ ჯანმრთელობას შორის კავშირი
- გამოკითხვა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის
- დასკვნა
- რეკომენდაციები
- გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

სკოლის გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. უსაფრთხო და მეგობრული გარემო ამცირებს სტრესს და აძლიერებს თვითშეფასებას. მიუხედავად ამისა, ბევრ სკოლაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ჯერ კიდევ არასაკმარისად არის განვითარებული. ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა ემოციური მხარდაჭერა და სასკოლო სივრცის გაუმჯობესება, შესაძლოა დაეხმაროს ბავშვის მენტალური ჯანმრთელობის გამტკიცებას

კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს ბავშვების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე გავლენის შესწავლას და იმ მდგომარეობის დადგენას, თუ როგორ შეიძლება ეს გარემო ინოვაციური მეთოდებით გაუმჯობესდეს.

სასკოლო გარემო

რა არის სასკოლო გარემო?

- სივრცე, სადაც მოსწავლეები სწავლასთან ერთად პიროვნულადაც ყალიბდებიან
- გავლენას ახდენს მოტივაციაზე, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და აკადემიურ მიღწევებზე
- მოიცავს როგორც ფიზიკურ (საკლასო სივრცე, მოწყობა) ასევე ემოციურ ასპექტებს (მასწავლებლის და თანაკლასელების დამოკიდებულება)
- უსაფრთხო და მხარდაჭერილი გარემო ხელს უწყობს ჩართულობასა და სწავლის პროდუქტიულობას



სასკოლო გარემოს ტიპები

1. ფიზიკური გარემო - განათება, ავეჯი, ხმაურის კონტროლი

- დადებითად მოქმედებს აკადემიურ შედეგებზე

2. ემოციური და სოციალური გარემო - პედაგოგსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა

- დადებითი კლიმატი ზრდის ჩართულობას

3. პედაგოგიური პრაქტიკა - სწავლების მეთოდები და შეფასების სტრატეგიები

- საინტერესო მეთოდები აუმჯობესებს შედეგებს

4. ტექნოლოგიური გარემო - ინტერნეტი, კომპიუტერები და ციფრული რესურსები

- ზრდის სწავლის ეფექტურობას

მენტალური ჯანმრთელობა

- მენტალური ჯანმრთელობა ნიშნავს ადამიანის ფსიქიკურ, ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას
- გავლენას ახდენს ფიქრებზე, ქცევებზე და ურთიერთობებზე
- კარგი მენტალური ჯანმრთელობა ეხმარება ადამიანს მოერგოს ცვლილებებს, მართოს ემოციები და დაძლიოს სტრესი
- მენტალურად ჯანმრთელი ადამიანი: უკეთ იაზრებს საკუთარ შესაძლებლობებს
- აქტიურად ეწევა საზოგადოებრივ ცხოვრებას



კავშირი სასკოლო გარემოსა და მოსწავლის მენტალურ ჯანმრთელობას შორის

- სასკოლო გარემო პირდაპირ მოქმედებს ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე
- უსაფრთხო სივრცე ზრდის მოტივაციას, თვითშეფასებასა და აკადემიურ შედეგებს
- ტოქსიკური გარემო (ბულინგი, ზეწოლა) იწვევს შფოთვის და დეპრესიას
- მასწავლებლის მხარდაჭერა და თანატოლების პოზიტიური დამოკიდებულება აყალიბებს ნდობასა
- სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვს არ ეშინია შეცდომის და შეუძლია თავისუფლად გამოხატოს თავი




კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევის მეთოდი: თვისებრივი;
- მონაცემების შეგროვების წყარო: კითვარი;
- კვლევის დიზაინი: გამოიკვლიოს და გაანალიზოს პედაგოგებისა და მოსწავლეების სუბიექტური გამოცდილებები სასკოლო გარემოს გავლენის შესახებ მოსწავლეთა მენტალურ ჯანმრთელობაზე
- სამიზნე ჯგუფი: სკოლის პედაგოგები და IX-XII კლასების მოსწავლეები. ინტერვიუები ჩატარდა 10 პედაგოგთან და 45 მოსწავლესთან.
- კვლევის ეთიკა: ყველა რესპონდენტი ინფორმირებული იყო კვლევის მიზნის შესახებ და იცოდნენ, რომ მათი პირადი მონაცემები სრულად კონფიდენციალური იქნება

კვლევის შედეგების ანალიზი

(მოსწავლეების კითვარის ანალიზი)




- მოსწავლეების უმეტესობა სასკოლო გარემოთი არ არის კმაყოფილი.
- ურთიერთობა მასწავლებლებთან ძირითადად ნორმალურია.
 - მეგობრებში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.
- ბულინგი ხშირი პრობლემაა.
- სკოლა მენტალურ ჯანმრთელობაზე ნაკლებად ზრუნავს.
- მოსწავლეები ხშირად სტრესს განიცდიან.
- დახმარებას ძირითადად მეგობრებში ეძებენ.
- სურთ მეტი დასვენება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ბულინგის პრევენცია



კვლევის შედეგების ანალიზი

(მასწავლებლების კითხვარის ანალიზი)

- მასწავლებლების უმრავლესობა თვლის, რომ სასკოლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.
- უმეტესობის აზრით, მათ აქვთ საკმარისი ცოდნა მოსწავლეების მენტალური მდგომარეობის ამოსაცნობად.
- მიაჩნიათ, რომ მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ ემოციებს სასკოლო სივრცეში.
- მასწავლებელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სასკოლო გარემო ხელს უშლის ბულინგს.
- მოსწავლეთა მენტალური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიაჩნიათ: დისკუსიები თანამედროვე მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგთან შეხვედრები მოსწავლეთა მოსმენა



დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო შეესწავლა სასკოლო გარემოს გავლენა მოსწავლეთა მენტალურ ჯანმრთელობაზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. მოსწავლეთა ნაწილი თავს არ გრძნობს კომფორტულად და არ თვლის, რომ სკოლა საკმარისად ზრუნავს მათ მენტალურ მდგომარეობაზე. ბულინგი კვლავ რჩება აქტუალურ პრობლემად, ხოლო ემოციური მხარდაჭერის რესურსები შეზღუდულია.

მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ ისინი მზად არიან, დაეხმარონ მოსწავლეებს და მიაჩნიათ, რომ სასკოლო გარემო ხელს უწყობს კეთილდღეობას, თუმცა რეალობაში მოსწავლეთა განცდები ხშირად განსხვავებულია. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სკოლაში აუცილებელია მეტი ფოკუსირება ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე, მოსწავლეთა მოსმენაზე და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

რეკომენდაციები

სკოლებისთვის:

- მიზანშეწონილია, სკოლებმა შექმნან სივრცე მოსწავლეთა ემოციების გამოსახატად და რეგულარულ
- მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გაიარონ დამატებითი ტრენინგები მოსწავლეთა ემოციური საჭიროებების ამოცნობასა და მხარდაჭერაში.

მომავალი კვლევებისთვის:

- რეკომენდებულია, კვლევა ჩატარდეს სხვადასხვა რეგიონში, მოსწავლეთა ფართო სეგმენტით.
- მიზანშეწონილია, მომავალი კვლევები მოიცავდეს მშობლებისა და ფსიქოლოგების პერსპექტივასაც, რათა მიღებული სურათი იყოს უფრო სრულყოფილი

გამოყენებული ლიტერატურა

- Zhao, N., Yang, S., Zhang, Q., Wang, J., Xie, W., Tan, Y., & Zhou, T. (2023). School bullying results in poor psychological conditions: Evidence from a survey of 95,545 subjects. arXiv. <https://arxiv.org/abs/2306.06552>
- Podiya, J. K., Navaneetham, J., & Bhola, P. (2025). Influences of school climate on emotional health and academic achievement of school-going adolescents in India: A systematic review. BMC Public Health, 25, Article 54. <https://doi.org/10.1186/s12889-024-21268-0>
- Hawkins, G. T., Chung, C. S., Hertz, M. F., & Antolin, N. (2023). The school environment and physical and social-emotional well-being: Implications for students and school employees. Journal of School Health, 93(9), 799–812. <https://doi.org/10.1111/josh.13375>
- Wang, W., Chen, B., & Yang, S. (2025). The impact of COVID-19 quarantine on college students' mental health. BMC Public Health, 25, Article 1665. <https://doi.org/10.1186/s12889-025-22669-5>
- Olsson, D., et al. (2024). Health-promoting learning environments in higher education: A scoping review of structural interventions to protect student mental health. European Journal of Education. <https://doi.org/10.1111/ejed.12772>
- Grubic, N., Badovinac, S., & Johri, A. M. (2020). Student mental health in the midst of the COVID-19 pandemic: A call for further research and immediate solutions. International Journal of Social Psychiatry, 66(5), 517–518. <https://doi.org/10.1177/0020764020925108>
- White, B. M., Prasad, R., Ammar, N., Yaun, J. A., & Shaban-Nejad, A. (2025). Digital health innovations for screening and mitigating mental health impacts of adverse childhood experiences: Narrative review. arXiv. <https://arxiv.org/abs/2502.00066>
- Tsujimoto, K. C., Cost, K. T., LaForge-MacKenzie, K., et al. (2023). School and learning contexts during the COVID-19 pandemic: Implications for child and youth mental health. Current Psychology, 42, 29969–29985. <https://doi.org/10.1007/s12144-022-03941-y>
- Mammarella, I. C., Donolato, E., Caviola, S., & Giofrè, D. (2021). Anxiety profiles and protective factors: A latent profile analysis in children. arXiv. <https://arxiv.org/abs/2112.09778>
- Guo, J., et al. (2024). Exploring the associations between school climate and mental wellbeing: Insights from the MOVE12 pilot study in Norwegian secondary schools. International Journal of Environmental Research and Public Health, 15(4), Article 46. <https://www.mdpi.com/2254-9625/15/4/46>

გმადლობთ
ყურადღებისთვის !